

**ინფორმაცია მულხურა ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გზმ-ს ანგარიშთან დაკავშირებით დაბა მესტიის მოსახლეობის ერთობლივ განცხადებაში მოცემულ საკითხებზე რეაგირების თაობაზე**

**საკითხი 1:** გთხოვთ, განგვიმარტოთ წარმოდგენილ გზმ დოკუმენტში ასახული გაფრქვევის წყაროების განთავსების გეგმაზე (14.6.7) დატანილი ოთხი სტაციონარული გამფრქვევი წყარო: გ-1, გ-2, გ-3 და გ-4 რა წყაროებს წარმოადგენენ და აღნიშნული წყაროები რა დროის მანძილზე იქნება განთავსებული N2 სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე;

**კომპანიის პასუხი:** როგორც გზმ-ს ანგარიშის 14.6.5.1. პარაგრაფში და 14.6.6. პარაგრაფის 14.6.6.1. ცხრილშია მოცემული გაფრქვევის წყარო გ-1 წარმოადგენს ბეტონის კვანძის ცემენტის შესანახი სილოსის მტვერდამჭერი ფილტრის გამოსავალს, გ-2 გაფრქვევის წყარო არის ბეტონის წარმოებისათვის საჭირო ღორღის სანაყარო, გ-3 არის ბეტონის კვანძის მუშაობის პროცესში ღორღის ჩასაყრელი ბუნკერი, ხოლო გ-4 ლენტური ტრანსპორტიორი, რომლის საშუალებით ღორღი მოეწოდება ასფალტის დასამზადებელ დანადგარს.

პროექტის მიხედვით, ჰესის სამშენებლო სამუშაოები გაგრძელდება 3 წლის განმავლობაში, ხოლო ბეტონის კვანძი და შესაბამისად აღნიშნული გაფრქვევის წყაროები იმუშავებს წელიწადში მაქსიმუმ 114 დღის განმავლობაში.

**საკითხი 2:** ზემოქმედების შეფასების 6.3.4 პუნქტში წარმოდგენილ ცხრილში 6.3.4.1 რომელიც აღწერს ემისიების შედეგად ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედების შეჯამებას, ზემოქმედების რეცეპტორთა შორის აღნიშნულ ახლომდებარე დასახლებებზე „დაბალი“ და „ძალიან დაბალი“ ზემოქმედებამ კონკრეტულად რა მოსალოდნელ გონივრულ შედეგს გულისხმობს ადამიანის ჯანმრთელობისთვის, განსაკუთრებით მავნე ნივთიერებათა მაქსიმალური კონცენტრაციების გავრცელების N 1, 2 და 3 ზონებში;

**კომპანიის პასუხი:** გზმ-ს ანგარიშის 6.3.4.1. ცხრილში მოყვანილი შეფასებები შესრულებულია 6.3.2.1. პარაგრაფის 6.3.2.1.1. და 6.3.2.1.2. ცხრილებში მოცემული მავნე ნივთიერებათა გავრცელების გაანგარიშების და პროგრამული მოდელირების შედეგების მიხედვით.

აღნიშნულ ცხრილებში მოცემულია გაანგარიშების შედეგად მიღებული უახლოესი საცხოვრებელი ზონის ტერიტორიაზე ფორმირებული მავნე ნივთიერებათა მიწისპირა კონცენტრაციები ზდკ-ს წილებში, კერძოდ: საცხოვრებელი ზონის ტერიტორიაზე გაანგარიშებით მიღებული მავნე ნივთიერების კონცენტრაცია იყოფა ზდკ-ზე (ამ ნივთიერების ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციაზე). მიღებული შედეგი არ უნდა აღემატებოდეს ერთს ანუ მავნე ნივთიერების კონცენტრაცია არ უნდა იყოს ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციაზე მაღალი.

მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში არც ერთ საკონტროლო წერტილში რომელიმე ნივთიერების კონცენტრაცია 0.491-ს სათავე ნაგებობის მიმდებარე ტერიტორიისათვის და 0.283-ს ძალური კვანძის სამშენებლო ბანაკის მიმდებარე ტერიტორიისათვის. აღნიშნულის გათვალისწინებით, სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში ატმოსფერულ ემისიებთან დაკავშირებით, ადამიანის ჯანმრთელობაზე ნეგატიური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მავნე ნივთიერებათა გავრცელების გაანგარიშების და პროგრამული მოდელირების გამოყენებული მეთოდოლოგიის მიხედვით გაანგარიშება ყველაზე უარესი სცენარისათვის (არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობები), რაც პრაქტიკაში ნაკლებადა მოსალოდნელი.

**საკითხი 3:** მტკიცებითი მედიცინის საფუძველზე დამყარებით განმარტებას საჭიროებს წარმოდგენილი გზშ-ს ზემოქმედების დახასიათების 6.3.2. პუნქტის, 6.3.2.1 ქვეპუნქტში მოცემული, სათავე ნაგებობის მშენებლობისთვის ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა (მათ შორის ჯამური ეფექტის მქონე ნივთიერებათა) გავრცელების გაანგარიშების შედეგების ამსახველ ცხრილში N 6.3.2.1.2 წარმოდგენილ ნივთიერებათა კონცენტრაციების (განსაკუთრებით, მაქსიმალური კონცენტრაციების გავრცელების ხანგრძლივობით ზეგავლენის უვნებლობის შეფასება, რა ვადითაც აღნიშნული ნივთიერებების ზემოქმედება მოხდება სამშენებლო ბანაკი N2-ის ტერიტორიის მიმდებარე მოსახლეობასა და ისეთ, მნიშვნელოვან ობიექტებზე, როგორც არის საავადმყოფო, სასწრაფო სამედიცინო გადაუდებელი სამსახურის პუნქტი, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სამსახური - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა კომპიუტერული გაბნევის გრაფიკულ ნაწილში 14.6.4 გამოტანილი შედეგი ნივთიერებებისთვის: N0123-რკინის ტრიოქსიდი, N0143-მანგანუმი და მისი ნაერთები მანგანუმის (IV) ოქსიდზე გაანგარიშებით, N0301-აზოტის (IV) დიოქსიდი, N0304-აზოტის (II) ოქსიდი, N0328-ნახშირბადი (ჰვარტლი), N0330-გოგირდის დიოქსიდი (გოგირდის ანჰიდრიდი), N0337-ნახშირბადის ოქსიდი, N0342-აირადი ფტორიდები, N0344-სუსტად ხსნადი ფტორიდები, N2732-ნივთის ფრაქცია, N2902-შეწონილი ნაწილაკები, N6053-წყალბადის ფტორიდი, ფტორის სუსტად ხსნადი მარილები;

**კომპანიის პასუხი:** საყოველთაოდ ცნობილია, რომ ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები შემუშავებულია და დამტკიცებულია ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ საქართველოში, ხოლო საერთაშორისო ნორმები ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ.

როგორც მე-2 საკითხის პასუხშია მოცემული, N6.3.2.1.2. ცხრილში მოცემული მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციები მიღებულია, საცხოვრებელი ზონის ტერიტორიაზე ფორმირებული კონცენტრაციის, ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციასთან შეფარდებით და მიღებული შედეგები მნიშვნელოვნად ნაკლებია 1-ზე. შესაბამისად ადამიანის ჯანმრთელობაზე ნეგატიური ზემოქმედების რისკი პრაქტიკულად არ არსებობს.

რაც შეეხება ისეთ ნივთიერებებს როგორცაა, რკინის ტრიოქსიდი, მანგანუმი და მისი ნაერთები აზოტის (IV) დიოქსიდი, აზოტის (II) ოქსიდი, ნახშირბადი (ჰვარტლი), გოგირდის დიოქსიდი (გოგირდის ანჰიდრიდი), ნახშირბადის ოქსიდი, აირადი ფტორიდები, სუსტად ხსნადი ფტორიდები, ნივთის ფრაქცია, შეწონილი ნაწილაკები, წყალბადის ფტორიდი, ფტორის სუსტად ხსნადი მარილები, მათი მიწის პირო კონცენტრაციები ზდკ-ს წილებში ძალზე მცირეა და შესაბამისად ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

გარდა აღნიშნულისა, თუ გავითვალისწინებთ, რომ მავნე ნივთიერებათა ემისიები გაანგარიშებულია ყველაზე უარესი სცენარის გათვალისწინებით, მავნე ნივთიერებათა ნორმირებულ მაჩვენებლებზე გადაჭარბებას ადგილი არ ექნება.

**საკითხი 4:** წარმოდგენილ გზშ დოკუმენტში, გაფრქვევის წყაროების განთავსების გეგმაზე (14.6.7 გვ.514) დატენილი, მთის წიაღში შემავალი პორტალის შექმნისთვის საჭირო სამუშაოები და ბურღვა აფეთქებითი პროცესები, რამდენად თავსებადია 4.2.1 პუნქტში აღწერილი, სათავე ნაგებობის ზონის დახასიათების, დოკუმენტშივე ფორმულირებულ შემდეგ ჩანაწერთან: „სათავე ნაგებობის ზონაში მიმდინარე გეოდინამიკური პროცესები ლოკალური გავრცელებით ხასიათდება და ისინი

ძირითადად გამოხატულია მდინარის ეროზიულ მოქმედებაში, რაც იწვევს ფერდობების ძირის გარეცხვას და ნაპირების ჩამოშლას. გარდა ამისა, დამბის ღერძის სიახლოვეს მარცხენა ფერდობზე ფიქსირდება მცირე სიმძლავრის მეწყრული პროცესი, რომელიც მეოთხეულ საფარ გრუნტებში არის განთავსებული“, რადგან აღნიშნულ მონაკვეთში, მდინარის მარცხენა სანაპიროზე ცხოვრობს მარჩენალდაკარგული ოჯახი და განსაკუთრებით გაზაფხულზე, მდინარის კალაპოტის მოცემული მონაკვეთის მიმდებარედ მცხოვრები ოჯახებისათვის თვალსაჩინოა, მარცხენა ფერდობიდან ქვათა ცვენა მდინარის კალაპოტში. ასევე, ამავე პუნქტში მოცემული ჩანაწერი, რომ სათავე ნაგებობა დაბა მესტიის მიმდებარე ტერიტორიაზეა, საჭიროებს კორექტირებას, ვინაიდან სამშენებლო ბანაკი N2-ის ტერიტორია მდებარეობს დაბა მესტიაში, ჯონდო ხაფთანის სახელობის ქუჩის პარალელურად, მდინარე მულხურას კალაპოტის მარჯვენა სანაპიროს გასწვრივ, დასახლებულ ზონაში. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს რომ ამავე გზმ დოკუმენტში არის საუბარი მარჯვენა ფერდის ნაკლებ მდგრადობაზე, სადაც, პორტალის საპროექტო არეალის ირგვლივ არის საცხოვრებელი სახლები.

**კომპანიის პასუხი:** მულხურა ჰესის საპროექტო არეალში ჩატარებულია დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური აგეგმვა და იდენტიფიცირებულია საშიში გეოდინამიკური პროცესების თვალსაზრისით რისკის მქონე უბნები. კვლევის შედეგების მიხედვით სათავე ნაგებობის მიმდებარე მარცხენა სანაპიროს ფერდზე დაფიქსირებულია მცირე სიმძლავრის მეწყერი, რომელიც ზედაპირულ მეოთხეულ საფარ გრუნტებში არის განვითარებული.

აღნიშნული მეწყრული სხეულის გააქტიურების პრევენციის მიზნით, პროექტი დამბის ზედა ბიეფში ითვალისწინებს ნაპირსამაგრი კედლის მოწყობას. გარდა აღნიშნულისა მშენებლობის დაწყებამდე მოხდება მიმდებარე ფერდობებზე აქტიურ დინამიკაში არსებული ლოდების მოცილება (ფერდობების ჩამოწმენდა) და საჭიროების შემთხვევაში მოხდეს ფერდობების გამაგრება მავთულის ფოლადის ბადის გამოყენებით (იხილეთ გზმ-ს ანგარიში 6.5.3.).

გამომდინარე იქედან, რომ სამშენებლო ტერიტორია საინჟინრო-გეოლოგიური თვალსაზრისით განეკუთვნება მაღალი სირთულის კატეგორიას, საქმიანობის განმხორციელებელ კომპანიას განსაზღვრული აქვს მუდმივი გეოდინამიკური მონიტორინგის წარმოების ვალდებულება, როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის პერიოდში. საშიში გეოლოგიური მოვლენების მონიტორინგი განხორციელდება ყველა სენსიტიურ უბანზე მონიტორინგულ სამუშაოებში ჩართული იქნება შესაბამისი კომპეტენციის მქონე პერსონალი (ინჟინერ-გეოლოგები). საჭიროების შემთხვევაში გატარდება შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები (გეოლოგიური შესწავლა, პროექტის დამუშავება და გამაგრებითი სამუშაოები).

რაც შეეხება მარჯვენა სანაპიროს ფერდობზე არსებული სუსტი ქანების საკითხს, დამბის ზედა ბიეფში დაგეგმილია ნაპირდამცავი კედლის მოწყობა, ხოლო ქვედა ბიეფში ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი, რადგან დამბასა და ჰესის გამყვან არხს შორის მონაკვეთზე მდინარეში წყლის ხარჯის შემცირება (წყლის ნაწილი მიმართული იქნება სადერივაციო სისტემაში ენერგეტიკული დანიშნულებით) მნიშვნელოვნად შეამცირებს ფერდობის ძირის გამორეცხვის ინტენსივობას. შესაბამისად ამ მონაკვეთზე ჰესის პროექტის განხორციელება საშიში მარჯვენა სანაპიროს ფერდობზე საშიში გეოდინამიკური პროცესების გააქტიურებასთან დაკავშირებული არ იქნება.

**საკითხი 5:** სრულ შესაბამისობაში არ მოდის ერთმანეთთან ვიზუალური ცვლილების პუნქტში (6.11.2) დახასიათებული პროცესი, ტურიზმზე ზემოქმედების პუნქტში (6.13.1.7) ზემოქმედების შესახებ მოცემულ ჩანაწერთან, რადგან წარმოდგენილი ფორმულირება - „ტურისტული პოტენციალი“ არის ზოგადი და ვერ ამოწურავს ტურიზმთან დაკავშირებულ საკითხებს ვინაიდან, ერთი მხრივ ვეთანხმებით, რომ გაუმჯობესებული ენერგომომარაგება არის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი ტურიზმის განვითარების შესაძლებლობისათვის მუნიციპალიტეტში, ხოლო მეორე მხრივ არ მოიცავს მშენებლობის ეტაპის ზეგავლენას უშუალოდ მიმდებარე მოსახლეობაში, უკვე არსებულ/მოქმედ

ტურისტულ ობიექტებზე. შესაბამისად 6.11.2 პუნქტში აღწერილი ვიზუალური ცვლილების პროცესი, გარკვეულად წინააღმდეგობრივია, ამავე დოკუმენტის 5.4.7 პუნქტთან, რომელშიც საუბარია ეკონომიკაზე, კერძოდ: მესტიის მუნიციპალიტეტის ეკონომიკა დაფუძნებულია სოფლის მეურნეობასა და ტურიზმის განვითარებად სექტორზე. მცირე საწარმოები ქმნიან მესტიის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის ხერხემალს, რაც ხელს უწყობს სამუშაო ადგილების შექმნად და ადგილობრივ მეწარმეობას“ - ჩანაწერთან;

**კომპანიის პასუხი:** როგორც გზშ-ს ანგარიშის 6.11.2. პარაგრაფშია მოცემული, ვიზუალურ ლანდშაფტურ ცვლილებებთან დაკავშირებული ზემოქმედება შედარებით მაღალი იქნება სათავე ნაგებობის მოსაწყობად საჭირო სამუშაოების შესრულების დროს. რაც შეეხება ექსპლუატაციის ფაზას ზემოქმედებას ადგილი ექნება მხოლოდ ექსპლუატაციის საწყის ეტაპზე, რაც მოიხსნება ადგილობრივი მოსახლეობის ცვლილებებთან ადაპტაციის გზით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ექსპლუატაციის ფაზაზე, სათავე ნაგებობის ინფრასტრუქტურა შესაძლებელია ტურისტებისათვის იქცეს ერთერთ საინტერესო ადგილად.

მშენებლობის ფაზაზე მოსალოდნელი ზემოქმედების რისკების შემცირება შესაძლებელი იქნება დაგეგმილი შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელებით, რომელთაგან მნიშვნელოვანია: მშენებლობის სწორი ორგანიზაცია, მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა ნარჩენების მართვის გეგმით განსაზღვრული პირობების მკაცრი დაცვით, სამშენებლო ინფრასტრუქტურის შენობა ნაგებობების ინფრასტრუქტურის გარეგანი იერსახის მოწესრიგება და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის განხორციელება ზოგადად მესტიის მუნიციპალიტეტის ტურისტულ პოტენციალზე ნეგატიურ ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ იქნება, მაგრამ ზემოქმედებას ადგილი ექნება სათავე ნაგებობის მიმდებარე არეალში მოქმედი მეწარმეების (სასტუმროების მფლობელების) საქმიანობაზე. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში საქმიანობის განხორციელებელი კომპანია, შპს „აი ჯი ენერჯი“ ვალდებულია საქმიანობის გრაფიკი და პირობები შეათანხმოს გავლენის ზონაში მოქცეულ მეწარმეებთან.

**საკითხი 6:** 6.4. პუნქტის (ზემოქმედება აკუსტიკურ ფონზე) 6.4.1 ქვეპუნქტის (ზემოქმედების შეფასების მეთოდოლოგია) ცხრილში 6.4.1.1. (ხმაურთან დაკავშირებული ზემოქმედების შეფასების კრიტერიუმები) მოცემული საცხოვრებელი ზონებისთვის მისადაგებული ხმაურის მნიშვნელობიდან და 6.4.2.1 პუნქტში აღწერილი მშენებლობის ეტაპისათვის წარმოდგენილი ხმაურის გავრცელების წყაროთა რაოდენობა არ გადააჭარბებს 5 (ხუთ) ერთეულს, არის ფაქტორი, რომელიც განაპირობებს მოსახლეობის მიერ წარმოებული, მიმდინარე ეკონომიკური საქმიანობის შეწყვეტის საფრთხეს და წარმოადგენს დამატებითი განხილვის საჭიროებას, ვინაიდან, სამშენებლო ბანაკი N2-ის ირგვლივ მცხოვრები მოსახლეობა, პროექტის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობის ზეგავლენით აღმოჩნდება კერძო საკუთრებების დაკარგვის რეალობის წინაშე. გვინდა ხაზი გავუსვათ, რომ ჩვენ მდგომარეობას ამძიმებს ფაქტი, რომ სამასპინძლო ბიზნესის დაწყების მიზნით, ტურისტული ინფრასტრუქტურა (ამ შემთხვევაში სასტუმროები და ოჯახსასტუმროები) ძირითადად შექმნილი და მოწყობილი გვაქვს მრავალწლიანი საბანკო ვალდებულებების პირობებში, ხოლო საბანკო გარანტიად კი, საკუთარი საცხოვრებელი სახლები და კარმიდამო გვაქვს ჩადებული. შესაბამისად, აღნიშნული ფაქტორის და რისკის გათვალისწინება მოსახლეობისათვის არის უმნიშვნელოვანესი და ამთ დააზღვევს საკუთრებების დაკარგვის საფრთხეებისგან.. ხაზი უნდა გაესვას გარემოებას, რომ 2023 წელს თქვენ მიერ, მუნიციპალიტეტში ჩატარებულ შეხვედრაზე მიღებული ინფორმაციის ფარგლებში, მოსახლეობისგან დასმული იქნა საკითხი აღნიშნული საფრთხეების შესახებ, რომლის საპასუხოდ მივიღეთ განმარტება, რომ მოსაზრებები იქნებოდა გათვალისწინებული და აისახებოდა შემდგომ სამოქმედო დოკუმენტებში, თუმცა მოცემულ გზშ დოკუმენტში ასეთი ჩანაწერი არ იკითხება.

**კომპანიის პასუხი:** როგორც გზშ-ს ანგარიშის 6.4. პარაგრაფშია მოცემული, გაანგარიშების შედეგების მიხედვით სათავე ნაგებობის მიმდებარე უახლოესი საცხოვრებელი ზონის საზღვარზე ხმაურის გავრცელების დონე შეადგენს 54.4 დბა-ს, ხოლო ძალური კვანძის სამშენებლო ბანაკის უახლოესი საცხოვრებელი ზონის საზღვარზე 49.5 დბა-ს. თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში მოქმედი ხმაურის გავრცელების ნორმების მიხედვით დღის საათებისათვის დადგენილი ნორმა შეადგენს 50 დბა-ს, დღის საათებისათვის დადგენილი ხმაურის გავრცელების დონეების გადაჭარბებას ადგილი ექნება სათავე ნაგებობის მიმდებარე საცხოვრებელი ზონის ტერიტორიაზე.

როგორც ანგარიშშია მოცემული, ხმაურის გავრცელების დონეების გაანგარიშება შესრულებულია ყველა უარესი სცენარის მიხედვით, კერძოდ: სამშენებლო სამუშაოებში მონაწილე ყველა სამშენებლო ტექნიკის და სატრანსპორტო საშუალების ერთდროულად მუშაობის პირობებისათვის, რაც პრაქტიკაში ნაკლებადაა მოსალოდნელი. შესაბამისად ფაქტობრივი ხმაურის გავრცელების დონეები ნაკლები იქნება გაანგარიშებით მიღებულ დონეებზე და არ გადააჭარბებს ნორმირებულ სიდიდეს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ N2 სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე ბეტონის კვანძის, ინერტული მასალების სამსხვრევ-დამხარისხებელი საამქროს ან სხვა ხმაურის გავრცელების სტაციონარული წყაროების განთავსება დაგეგმილი არ არის და შესაბამისად უწყვეტი ხმაურის გავრცელება მოსალოდნელი არ არის.

პროექტის მიხედვით და გზშ-ს ანგარიშში მოცემული შემარბილებელი ღონისძიებების გეგმის შესაბამისად, სამშენებლო ბანაკების ექსპლუატაციას ღამის საათებში ადგილი არ ექნება და შესაბამისად ამ პერიოდში ხმაურის გავრცელებასთან დაკავშირებული ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ხმაურის გავრცელების დონეების შემცირება შესაძლებელი იქნება გზშ-ს ანგარიშის 6.4.3 პარაგრაფში მოცემული შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელებით.

მიუხედავად აღნიშნულისა, ხმაურის გავრცელების დონეების ნორმის ფარგლებში არსებობის შემთხვევაშიც, სათავე ნაგებობის მიმდებარე საცხოვრებელი ზონის ფარგლებში მცხოვრები მოსახლეობისათვის და ტურისტული დანიშნულების ობიექტებისათვის შექმნება გარკვეული დისკომფორტი, რისთვისაც საჭირო იქნება შესაბამისი ორგანიზაციული ღონისძიებების გატარება, მათ შორის: სამუშაოები შესრულებული იქნება მხოლოდ დღის საათებში, სათავე ნაგებობის სამშენებლო სამუშაოები შესრულებული იქნება შედარებით დაბალი ტურისტული აქტივობის პერიოდში და სხვა.